პროლეტარიანებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТИ ГАДМОДИС 1920 ГЕЛИС 3 ИВНИСИДАН

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 56 (19198) ოთხშაბათი, 6 მარტი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

რესპუბლიკის შეუფერხებელი ელექტრო-მომარაგება მთავარი საღლეისო ამოცანაა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ხანგრძლივმა სიცივემ და დიდთოვლობამ, რესპუბლიკის ენერგეტიკულ და სამრეწველო საწარმოთა სათმობმომარაგებაში შექმნილმა დაძაბულმა მდგომარეობამ საჭირო გახადა ელექტროენერგიის დამატებითი წარმოება, რასაც შედეგად მოჰყვა წყლის მარაგის ზღვრულ მინიმუმამდე შემცირება წყალსაცავებში.

საქართველოს ენერგოსისტემის თბოელექტროსადგურებისა და სეზონური ჰიდროელექტროსადგურების მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, მეზობელი ენერგოსისტემებიდან ელექტროენერგიის ზღვრული მიღების შენარჩუნებასთან ერთად, ა. წ. მარტში წარმოიშვა ელექტრული სიმძლავრის დეფიციტი 250-300 მეგავატის ოდენობით, ხოლო ელექტროენერგიისა — 3,5-4 მილიონი კილოვატსაათის ოდენობით დღეში, რაც საერთო დატვირთვის 10 პროცენტს შეადგენს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლითაც დასახეს დამატებითი ღონისძიებანი ელექტროენერგიის საფფლიანი მოხმარების შესამცირებლად, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის შეუფერხებელ ელექტრომომარაგებას.

საქართველოს ენერგოსისტემის სტაბილური მუშაობის შენარჩუნებისა და რესპუბლიკის შეუფერხებელი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ნათქვამია დადგენილებაში, შექმნილი ვითარებაში საჭიროა მარტის პირველ ნახევარში შემცირდეს მოსახმარი სიმძლავრე 2200 მეგავატამდე და ელექტროენერგია — 51 მილიონ კილოვატსაათამდე დღეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის "საოლქო კომიტეტების, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაავალეს უზრუნველყონ, რომ სამრეწველო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განუხრელად შეასრულონ ელექტრული სიმძლავრისა და ენერგიის მოხმარების ყოველდღიური შეზღუდვის დადგენილი თანაბამად შემუშავებული გრაფიკისა, ავრეთვე მიღონ ქმედითი ზომები ადგილობრივ თბომეურნეობათა მუშაობის ეფექტიანობის გასაძლიერებლად.

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარმა სამმართველომ (ამხ. ჯედია) უნდა „უზრუნველყოს საქართველოს ენერგოსისტემის თბოელექტროსადგურების სტაბილური მუშაობა ნორმალურ ... [illegible] ... ელექტროსადგურის დატვირთვა 1100 მეგავატის ოდენობით და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისა — 90-100 მეგავატით. „საქმთავარ-ენერგომ" უნდა უზრუნველყოს ადრეადე მარეგულირებელი ელადგურების მუშაობის უკეთესი ეკონომიური რეჟიმი ენერგოსისტემაში სიმძლავრის მაქსიმალური მოხმარების საათებში დანამატის გამოყენებით, ყოველდღიურად გაუწოოს კონტროლი, თუ როგორ ასრულებენ რაიონები, ქალაქები და საწარმოები ელექტრომოხმარების შეზღუდვის დამატებით დავალებებს.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას (ამხ. ქაშაკაშვილი), ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას (ამხ. ჯეენკაძე), საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხანას" (ამხ. გენეზადე) დაეკალთ უზრუნველყოს საუწყვნო თბოელექტროცენტრალებში მაქსიმალური დატვირთვით სტაბილური მუშაობა შესაბამისად 90, 15 და 2,5 მეგავატის ოდენობით.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის (ამხ. უბერია) წინაშე დასახულია ამოცანა უზრუნველყოს საწვავი მაზუთის, შეუფერხებელი მიწოდება გეგმის შესაბამისად ეუწინარეს ყოველისა ენერგოსისტემის ენერგეტიკული ობიექტებისა და ქალაქების და რაიონების თბომეურნეობებისათვის.

საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზმა" (ამხ. ნიკოლაშვილი) და საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. ლომბაძიანე) უნდა უზრუნველყონ რესპუბლიკაში ბუნებრივი გაზის მიწოდების გეგმის შესრულება და მოხმარებლებისათვის რაციონალური გახარჯვა.

ამერეკავკასიის ენერგოსისტემათა გაერთიანებულ სადისპეტჩერო სამმართველოს (ამხ. პეტროიშვილი) დაეკალა შეუთანხმოს სხვა კავშირის ენერგეტიკასა და ელექტროფიკაციის სამინისტროს სსრ ენერგოსისტემის დასავლეთ ნაწილში მოხმარებელთა ელექტრომომარაგების ყველაზე ოპტიმალური სქემა მოლეფილად სამდგომ მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით და ენერგოსისტემის დასავლეთის ნაწილში ელექტროენერგიის ზღვრული მიღების შენარჩუნებასთან ერთად, ა. წ. მარტში წარმოიშვა ელექტრული სიმძლავრის დეფიციტი 250-300 მეგავატის ოდენობით, ხოლო ელექტროენერგიისა — 3,5-4 მილიონი კილოვატსაათის ოდენობით დღეში, რაც საერთო დატვირთვის 10 პროცენტს შეადგენს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლითაც დასახეს დამატებითი ღონისძიებანი ელექტროენერგიის საფფლიანი მოხმარების შესამცირებლად, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის შეუფერხებელ ელექტრომომარაგებას.

საქართველოს ენერგოსისტემის სტაბილური მუშაობის შენარჩუნებისა და რესპუბლიკის შეუფერხებელი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ნათქვამია დადგენილებაში, შექმნილი ვითარებაში საჭიროა მარტის პირველ ნახევარში შემცირდეს მოსახმარი სიმძლავრე 2200 მეგავატამდე და ელექტროენერგია — 51 მილიონ კილოვატსაათამდე დღეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის "საოლქო კომიტეტების, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საბჭოები ასსრ მინისტრთა საბჭოებს, საბჭოები აჭარის ავტონომიურ ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაავალეს უზრუნველყონ, რომ საბრეფელი საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განუხრელად შეასრულონ ელექტრული სიმძლავრისა და ენერგიის მოხმარების ყოველდღიური შეზღუდვის დადგენილი თანაბამად შემუშავებული გრაფიკისა, ავრეთვე მიღონ ქმედითი ზომები ადგილობრივ თბომეურნეობათა მუშაობის ეფექტიანობის გასაძლიერებლად.

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარმა სამმართველომ (ამხ. ჯედია) უნდა „უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თბოელექტროსადგურების

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში — მასობრივი ფიზიკური კულტურისა და გაჯანსაღებისათვის

15 თებერვალს გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლების — ი. აბაშიძის, ო. გამყრელიძის, ნ. თავართქილაძის, ქ. კახიძის, ო. მელვინეთუხუცესის, ნ. ფავნაის, ვ. სანვეთის, ო. ქინქლაძის, ბ. ჩიბუტიდანიძის, ვ. ჭელიძის, ე. ხარაძისა და ს. ხეჩინაშვილის ღია წერილი-მიმართვა, რომელიც ეხებოდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის შნიშვნელობას. მათ პრინციპულად და მწვავედ დაუყენეს პრობლემა ფიზიკური კულტურა რესპუბლიკის მშრომელთა და საერთოდ მთელი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში, მოუწოდეს ჩვენს ჯანმრთელობის მასობრივ ლაშქრობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს მიმართვა.

ბოლო წლებში რესპუბლიკაში გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა ფიზიკულტურული მოძრაობისადმი, გადიდდა სპეციალური, სპორტული და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობა მთელი მასობრივი განვითარებისათვის. ინერგება ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ახალი ფორმები, მტკიცდება მასობრივი და დიდი სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შეიქმნა ფიზიკურ კულტურასთან ყველასა და თითოეულის ზიარების გამოუყენებელი რეზერვების ძიების, გამოვლენის ატმოსფერო. სწორედ ამის მაგალითი გახდა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ღია წერილი-მიმართვა. იგი გამსჭვალულია მასობრივ ფიზკულტურაში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესი დაძლევის რწმენით.

მართლაც, ფიზიკურ კულტურა, სპორტი, ტურიზმი ჯერაც არ გამხდარა მოსახლეობის უმრავლესობის ყოველდღიური საარსებო მოთხოვნილება. ზოგიერთ რეგიონში, შრომითსა და სასწავლო კოლექტივში დაბალია ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის დონე, იგი ფორმალურად წარმოებს. გადაუსვენელია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსური დანერგვის ბევრი ამოცანა. დროული ღონისძიებანი არ ხორციელდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების შესაქმნელად, ნაკლებ ეფექტიანად გამოიყენება არსებული სპორტული ბაზები.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის მდგომარეობა მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში. ფიზკულტურის გაკვეთილებზე ბავშვებს არ უნერგავენ ფიზიკური თვითაღზრდის, პირადი ჰიგიენის ჩვევებს, სუსტად წარმოებს ისეთი მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქის, პატრიოტის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილის ფიზიკური და სულიერი სახის ჰარმონიულ განვითარებას.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ხელმძღვანელთა, ინჟინერ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებანი.

უნდა ვიფიქროთ ფიზიკულტურულ-სპორტულ მოძრაობას საცხოვრებელ ადგილებში, ჯანმრთელობის კერებად კულტურისა და დასვენების პარკების დადაკეცვის გზით მაქსიმალურად ეფუძნებოდეთ ხელშეწყობა ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. საჭიროა ბავშვთათოთ კულტურულ-სპორტული კომპლექსების ქსელი მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის სრულყოფისა და მშრომელთა თავისუფალი დროის უკეთ გამოყენების მიზნით.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ განიხილონ კოლეგიების გაფართოებულ სხდომებზე მასობრივი ფიზიკური კულტურის შემდგომი განვითარების კონკრეტული საკითხები. შრომის პროცესზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის გავლენის გასაფიდებლად ყოველ საწარმოში, დაწესებულებაში უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს „ჯანმრთელობის" პროგრამები.

საქართველოს სსრ პროფსაბჭომ, ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა, დოსაფის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა განიხილონ ფიზკულტურულ-მასობრივი მოძრაობის განვითარებაში, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის ფიზიკურ მოამზადებაში პირველადი პროფკავშირული, კომკავშირული, აგრეთვე დოსაფის ორგანიზაციების როლის გაძლიერების საკითხები.

რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სამინაწარმოო-კომეხლური მეურნეობის სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ, სპორტკომიტეტმა ეფექტიანი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. საჭიროა ავამაღლოთ ფიზკულტურის გაკვეთილების, ფაკულტატური მეცადინეობების ხარისხი და როლი, რომლებიც ყალიბებენ ფიზიკური კულტურის, პირადი ჰიგიენის საფუძვლებს, გამამაკავალეფრონული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ფორმები.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება მიეცა შეიმუშაოს საკავშირო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა პრაქტიკაში ფიზიკური კულტურის დანერგვის დამტკიცებით ღონისძიებათა კომპლექსი. მოსახლეობის საყოველთაო ყოველწლიური დისპანსერიზაციის მეშვეობით უნდა უკეთ შეირჩეს ფიზკულტურის, როგორც დაავადებათა პროფილაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის უნარიან პრეპარატად.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, გამსაზომი, საზოგადოება „ცოდნა" მოწოდებული არიან ფართოდ და სისტემატურად უწევნენ პროპაგანდას ფიზიკური კულტურის მიზნებსა და ამოცანებს (საქართველო).

კადრების სწავლება

საკა ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში დამთავრდა მოკაჟშრე რესპუბლიკის განათლების მინისტრების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების, სახალხო განათლების სამმართველო, საოლქო განყოფილებების გამგეების, პროფტექნიკური განათლების სამმართველო და საოლქო სამმართველოების უფროსების მეცადინეობა.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ე. ზიმიანინი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ვ. ა. მედვედევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. პ. ველიხოვი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. პ. ელიუტინი, ს. გ. შჩერბაკოვი, მ. ს. ზაბარინია, სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. პეტროვიჩევი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. მიშინი და სხვები.

გაიმართა შემოქმედებითი შეხვედრები მეცნიერებთან. მსმენელებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

ДОЛИА, ДОЛИ!

ᲬᲐᲠᲑᲐᲓᲔᲑᲘᲗ მიმდინარეობს დოლი ამბეტის რაიონის ქვემო ალვანის ჯაშთასნაშენე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში. დაწინაურდა პირველი ბრიგადა, რომელსაც გამოეცალა სარქაფი ბასიკო რაინაული ხელმძღვანელობს.

ვეტერან ბრიგადირს მრავალგზის გაუმარჯვია სოციალისტურ შეჯიბრებაში. ბარშან ყოველ ას ნერგზე ას ცამეტი ბატკანი მიიღო. წელს კიდევ უფრო მეტის მოღებას ვარაუდობს. ამას წინათ ბ. რაინაული შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდეს.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ბ. რაინაული; წლევანდელი ნამატი.

ᲤᲝᲢᲝ. ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲣᲠᲘᲡ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. II; 1984 წ., № 4, მუხ. 100) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 95-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საგამოძიებო მოქმედებათა დროს, აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოების სასამართლო და, საჭიროების შემთხვევაში, განხილვისოვის, ბრალდებულ სხდომებზე დგება ოქმები".

2. 117-ე მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შრომა-გასწორების დაწესებულებების, საგამოძიებო იზოლატორების, სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმების და შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმების უფროსები — ამ დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ ჩადენილ სამსახურის შესრულების დადგენილი წესის საწინააღმდეგო დანაშაულთა საქმეებზე, აგრეთვე აღნიშნულ დაწესებულებათა განლაგების ადგილას ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე".

3. 126-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საეალდებულოა ყველა საქმის წინასწარი გამოძიება, გარდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე, 99-ე მუხლებით, მე-100 მუხლის პირველი ნაწილით, 112-ე მუხლით, 116-ე მუხლის პირველი ნაწილით, 124-ე, 126-ე მუხლებით, 137-ე მუხლის პირველი ნაწილით 138-ე მუხლით, 157-ე მუხლის პირველი ნაწილით, 165-ე მუხლის პირველი ნაწილით, 165[1] მუხლით, 169-ე მუხლის პირველი ნაწილით, 169[1], 169[2], 169[3], 169[4], 169[5] მუხლებით, 172-ე მუხლის პირველი ნაწილით, 173-ე, 175-ე, 177-180-ე, 203[3] მუხლებით, 204-ე მუხლის მეორე ნაწილით, 216-ე, 217-223[1] მუხლებით, 228-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 229-ე მუხლის პირველი ნაწილით, 234-ე, 241[1] მუხლებით, 243-ე მუხლის პირველი ნაწილით, 250[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებისა, რომელთა წინასწარი გამოძიება წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაშინ, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო ან პროკურორი";

მესამე ნაწილ ციფრის „207" შემდეგ დაემატოს ციფრი „207[1] 208, 208[1]", ხოლო ციფრის „209[1]" შემდეგ — ციფრი „216[1]";

მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე, 88-ე, 91-ე 93-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, მუხლებით, მე-100 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 101-ე, 102-ე, 110-ე, 111-ე, 113-115-ე მუხლებით, 116-ე მუხლის მეორე ნაწილით, 121-ე, 122-ე, 127-ე, 135-ე, 136-ე, 150-156-ე მუხლებით, 157-ე მუხლის მეორე ნაწილით, 158-ე, 161-ე, 162-ე, 164-ე მუხლებით, 165-ე მუხლის მეორე და მესამე 161-ე, 162-ე, 164-ე მუხლებით, 169-ე მუხლის მეორე ნაწილით, 170-ე, 171-ე მუხლებით, 172-ე მუხლის მეორე ნაწილით, 173[1], 173[2], 174-ე, 176-ე, 182-ე, 203-ე, 203[1], 203[2], 203[4] მუხლებით, 204-ე

(დასასრული მე-3 გვ.)

● პრინციპულობა გულგრილობას ვერ იტანს.

(II გვ.)

● განვითარებული სოციალიზმი და განაწილებითი უთანასწორობა. (თეორიისა და პრაქტიკის საკითხები).

(II და III გვ.)

● მხიოლოდ ავანგარდში (მეცნიერება, განვითარებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადწყვეტილებანი).

(III გვ.)

უცხოეთი

ფაქტები მოვლენები

5 მარტი — საკადრისი იუწყება

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲘᲡᲐᲛᲔᲜᲔ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ, ᲐᲛᲑᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲥᲘᲡᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ

ᲜᲐᲨᲠᲐᲠᲔᲣᲚᲘᲡ მევნახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში უცხო არ იყო კოლეგიალური ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა, პირველი, მუშაობის ამ ფორმას ყოველთვის დადებითი შედეგები მოსდევდა. მაგრამ ახლანდელი ანგარიში სრულიად განსხვავდებოდა წინა ანგარიშებისაგან თავისი ხასიათით, პრინციპულობით, საკუთარი თავისადმი მაღალი მოთხოვნილებით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის გრძნობით. ანგარიშები, რომლებითაც მეურნეობის მცენარეთა დაცვის აგრონომი მ. ჩიკვაიძე და მთავარი აგრონომი ზ. გაფარაშვილი წარსდგნენ თანამოსაქმეთა წინაშე, აგრეთვე ი. ზაფალაფოვის, გ. ხომიზურის, გ. ხიდაშელის, ვ. ხოგამწვანების მუდმივი კომისიის მდივანი.

მ. ჩიკვაიძეს ამმრჩეველთა და მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა, მეზობელთა შორის კარგი ავტორიტეტი აქვს. ამავე დროს აღინიშნა ისიც, რომ მან უფრო მეტად უნდა იზრუნოს თავისი პროფესიული დონის ამაღლებისათვის, უფრო მეტ პრინციპულობასა და მომთხოვნელობას უნდა იჩენდეს როგორც სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

მ. ჩიკვაიძემ შენიშვნები არათუ გაიზიარა, არამედ თვითკრიტიკულად დაამტკიცა: როგორც ენტომოლოგი, ვიბრძვი მცენარეთა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ, ვხელმძღვანელობ ზსამეცნიერებების შენახვის და მათს მიზნობრივ გამოყენებას, მაგრამ უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოზე ყოველთვის სათანადოდ ვერ ვრეაგირებ. მაგალითად, 1979 წელს მეურნეობაში ყურძნის ქიმ გაგვინდგურა მოსავალი, თუმცაღა ჩვენთვის თავის დროზე ცნობილი, რომ ვენახებში გაჩნდა პირველი თაობის ყურძნის ჭია, საჭირო ღონისძიებები მაინც ვერ განვახორციელეთ, ზვრები შეეწამლეთ გვიან

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ

ᲡᲐᲥᲠᲘᲚᲝᲒᲝ ᲛᲐᲡᲢᲖᲔ

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ. გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, გაადიდონ წარმოების მოცულობა შინაგანი რეზერვების საფუძველზე — ახლთა ფაშაზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების 40 წლისთავისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობის აღსანიშნავად რესპუბლიკის მანქანათმშენებელ საწარმოთა კოლექტივების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების ძირითადი პუნქტები.

დარაში სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგას ქალაქ დიერის მანქანათსაშენებელი კომბინატი „რაბა“. მისი მუშები ყოველდღიურ ნორმებს 102-104 პროცენტით ასრულებენ.

ᲒᲓᲠ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ — ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲒᲠᲘᲛᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲗᲘᲗᲛᲪᲘᲡ 5.500 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ. ეს გადაწყვეტილება ფრანგი ექსპერიმენტატორების ერთიანი ცენტრის თავმჯდომარე ემი კროესი. ამ დანაშაულმა ვენესუელელთა საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია.

კომუნისტები, პატრიოტები, ყველა მშრომელი, გააცხადა ვენესუელის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხესუს ფარიამ, მრისხანე პროტესტს გამოთქვამენ იმ დადანაშაულ მოკლულთა გამო, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შუამთა და გლეხთა ინტერესების დაცვას, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას საქმე მოახმარა. კომპარტიამ ხელისუფლებას მოსთხოვა გამოძიების ეს საზარელი დანაშაული და მკაცრად დასჯის დამნაშავეები.

ᲜᲘᲙᲐᲠᲐᲒᲣᲐ

ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲚᲬᲠᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. უგო ტინოკო ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელარს და აცნობა, თუ რა შეეცადნენთან ახმარს ნიკარაგუის მთავრობა ცენტრალური ამერიკის კრიზისის პოლიტიკურ გადაწყვეტას.

შემდეგ პრესკონფერენციაზე გამოსულსას ნიკარაგუის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს რეგიონის პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას. ვადასტურებო, რომ ჩვენი მთავრობა მზად არის განაახლოს ორმხრივი მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან იმ მიზნით, რომ შეიტანოს წესიერი ცენტრალური ამერიკის პრობლემების უსწორფესი მოწესრიგების პროცესში, თქვა მან. ხოლო თუ ამერიკის მხარე კვლავ ჯიუტად იტყვის უარს დაალოგის განგრძობაზე, ამის შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეკისრება.

სერიოზული შეშფოთების გრძნობით, თქვა შემდეგ ვ. უგო ტინოკომ, აღვიქვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უკანასკნელი განცხადები, რომლებშიც მან აქცენტად დადასტურა, რომ განზრახული აქვს განაგრძოს მტრული პოლიტიკა ნიკარაგუის მიმართ, და მოსთხოვა ამერიკის კონგრესს მოიწონოს სახსრების გამოყოფა დაქირავებულთა ბანდებისათვის, რომლებიც თავს ესხმიან ჩვენს ქვეყანას. მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა რეიგანმა აშკარად განაცხადა, რომ სურს მიაღწიოს ნიკარაგუის კანონიერი მთავრობის დამხობას. ისეთი მოქმედება მთლიანად ეწინააღმდეგება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ნორმებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებს. ხაზგასმით აღინიშნა მინისტრის შთადგილემ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად აქ გადაეცა ლეს ნიკარაგუის პრეზიდენტის, დ. ორტეგას 27 თებერვლის განცხადება, რომელიც შეიცავს მიმართვას მსოფლიოს მთავრობებისადმი, პარლამენტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ხალხებისადმი. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ნიკარაგუის მთავრობის წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის დამყარება ცენტრალურ ამერიკაში.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘ

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲛᲖᲐᲠᲐᲕᲘ ᲪᲓᲔᲑᲘ

ᲙᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲜᲔᲘᲣᲜᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. რეიგანის ადმინისტრაცია აჩქარებს მზადებას ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებისათვის; ამას მოწმობს ამერიკის ჟურნალ „ნეიშნის“ მიერ მოყვანილი მონაცემები.

უახლოეს დროს, წერს ჟურნალი, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ახორციელებენ 1,4 მილიონი დოლარი მოახმარონ დაგუეის (იუტის შტატი) პოლიგონზე ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოცდისათვის გაწყუთნილი სპეციალური ლაბორატორიის მშენებლობას. საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ეკონომიკურ შესაძლებლობათა ფონდის მონაცემებით, ლაბორატორიები ნავთადუეი მოაწყონ ექსპერიმენტები მიკობაზეზე, რომლებიც ადამიანებში უმძიმეს დაავადებებს იწვევენ.

დაგუეის პოლიგონზე პენტაგონის მიერ დაგეგმილი ექსპერიმენტების სერია დასაბამს აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონის ის საშიში მზადების ახალ ეტაპს, რომელიც უკვე მრავალი წლის მანძილზე მიმდინარეობს. მაგალითად, აღინიშნავს „ნეიშნი“, ჯერ კიდევ 50-იან და 60-იან წლებში იუტის შტატის უნივერსიტეტმა სამხედრო უწყების დაკვეთით მოაწყო „დადებითა გამოშწვევი ბაქტერიების გავრცელების“ საველე გამოცდების სერია, რომელთა შორის იყო კერძოდ, ჭირის ბაქტერიებიც. იმავე პერიოდში, ამერიკის რეალგური ორგანიზაციის „ჩერჩ ოფ საიენტოლოჯის“ მონაცემებით, პენტაგონი რეგულარულად აწყობდა სხვადასხვა ბაქტერიების ისეთ დიდ ქალაქებში გაფრქვევის გამოცდებს, როგორიც არის სან-ფრანცისკო, ჩიკაგო, ვაშინგტონი და სხვები, აგრეთვე ჰავაის კუნძულების რაიონში. როგორც „ჩერჩ ოფ საიენტოლოჯი“ ადასტურებს 1964 და 1965 წლებში ფორტ-დიტრიხში (მერილენდის შტატი) განლაგებული სამხედრო ლაბორატორიის თანამშრომლები სპეციალურ საფრქვეველთა დახმარებით საიდუმლოდ აფრქვევდნენ დაავადების გამომწვევ ბაქტერიებს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის მცხოვრებლებში, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. ამ „ცდების“ განსახორციელებლად ირჩევდნენ ადგილებს, სადაც ყველაზე მეტი ხალხი იყრიდა თავს.

ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

ᲐᲒᲠᲐᲡᲝᲠᲗᲘ ᲞᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲚᲔᲑᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲗᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ლიბანელ პატრიოტთა დარტყმების შედეგად ისრაელს მთავრობა იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება ქვეყნის სამხრეთიდან თავიხა ჯარების გაყვანის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ. ვარაუდობენ, რომ იგი 12 კვირას გასტანს. როგორც ცნობილია, პირველი ეტაპის დროს აგრესორის ჯარები გაიყვანეს სამხრეთ ლიბანის უდიდესი ქალაქის საიდის რაიონიდან.

ლიბანის პრესა აღნიშნავს, რომ თელ-ავივის გადაწყვეტილების მიზანია თავიდან აიცილოს ცოცხალი ძალისა და ტეტნიკის მზარდი ზარალი, რასაც ინტერვენტებს აყენებენ წინააღმდეგობის ჯგუფები. ამასთან ერთად ყურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტს, რომ ისრაელის მმართველი წრეები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საწინააღმდეგოდ, გეგმავენ გაურკვეველი ვადით გამგრძელონ საზღვრისპირა ზოლში და ამით გაამარადისონ ლიბანის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია. აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ისრაელის მიერ ჯარების გაყვანა, სრულიადაც არ ნიშნავს ლიბანის საშინაო საქმეებში ჩარევის შეწყვეტას, რადგანაც თელ-ავივმა თავზეხელაღებულ მიიფვლა უფლება „სეჰიორების შემთხვევაში“ განახორციელოს ნებისმიერი სამხედრო აქციები სუვერენული არაბული ქვეყნის ფრთხილდოდ.

განგლილ დღე-დამეში ლიბანელმა პატრიოტებმა კიდევ 5 საბრძოლო ოპერაცია განახორციელეს. დეირ-ქანუნის რაიონში პატრუტანია რაზმმა იერიში მიიტანა აგრესორთა გამაგრებულ პოზიციაზე. 20 თებერვლიდან პატრიოტულმა ძალებმა მოაწყვეს ოკუპანტთა პატრულებზე, პოზიციებსა და სადუშგოებზე 64 თავდასხმა. ამ ოპერაციების შედეგად დაზიანდა ისრაელთა 10 და დაჭრეს 50 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ლიბანში იზრდება იმ პოზიციის დაგმობის ტალღა, რომელიც შეერთებულ შტატებს უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ლიბანის საკითხში. ვაშინგტონი, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა რ. კარამემ, ვეტოს უფლებას იყენებს თელ-ავივის დანაშაულობათა დასაფარავად.

ᲛᲝᲜᲓᲝᲚᲔᲗᲘ

ᲡᲔᲚᲔᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ. მეცხოველეობაში სასელექციონასაწინააღმდეგო მუშაობის სრულყოფა სახალხო მონღოლეთის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. აქედან რესპუბლიკაში ორმოცდათათამდე სპეციალიზებული მეურნეობა, ფერმა და საწარმოთა საკადრო სადგური, სადაც დიდი მუშაობა წარმოებს საზოგადოებრივი ნახირის თესლბრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად.

მონღოლ სელექციონერთა ბეჯითი საქმიანობის შედეგად გამოიყვანეს ნაზმატყლიანი და გრძელბეწვიანი ცხვრის, მატყლის მომეცი თხის ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან ძვირფასი თვისებებით და უარგად ეგუებიან ადგილობრივ ბუნებრივ კლიმატს.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲡᲮᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

ᲡᲐᲖᲦᲐᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒ

ᲙᲐᲠᲐᲩᲐᲔᲕᲘ. უცნობმა პირებმა ექვსი ბასროლით მოკლეს ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჭვეყნის მშრომელთა ერთიანი ცენტრის თავმჯდომარე ემი კროესი. ამ დანაშაულმა ვენესუელელთა საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია.

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲪᲘᲐ

ᲐᲜᲒᲝᲚᲐ

ᲣᲜᲘᲢᲐᲡ ᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ

ᲣᲜᲘᲢᲐᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲯᲐᲭᲣᲤᲔᲑᲗᲐ ᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲐᲜᲔ, რომლებიც თავიანთი ამერიკელი პატრონებისა და რახისტული სამხრეთ ამერიკის რეპუბლიკის სპეცისამსახურების კარნახით მოქმედებენ, მკვეთრად აშეკვეცეს ვითარებას სამხრეთ ანგოლაში.

პრეტორიის მიერ უნიტას ბანდების მხარდაჭერა, რასისტების მიერ ანგოლის სამხრეთ რაიონების ოკუპაცია ცხადყოფს სამხრეთაფრიკელ რასისტთა და მათ ოკუპანტგადამელ მფარველთა პროპაგანდისტულ მტაცებლათა ნიღაბლეს, თითქოს ახინი „სამხრეთ აფრიკის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრას ეხმრახოდნენ“.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲗᲗ: * რასისტი ჯარისკაცები ანგოლის ტერიტორიაზე შეჭრასთვის ემზადებიან.

ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ყოველთვის იყო, არის და ჯერ კიდევ დიდხანს იქნება განაწილებითი ურთიერთობის რეგულირება, მისი სრულყოფა. განვითარებული სოციალიზმის ხანგრძლივი ეტაპზე მატერიალური დოვლათის განაწილების ამოსავალ კრიტერიუმად რჩება სოციალიზმის მთავარი პრინციპი — „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“.

სოციალიზმის შენებლობის გამოცდილებამ მთლიანად დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულება იმის შესახებ, რომ კომუნიზმის პირველ ფაზას არ შეუძლია უზრუნველყოს მატერიალური დოვლათის განაწილება მოთხოვნილების მიხედვით. ამიტომ განაწილების მთავარი საზომია **მხოლოდ და მხოლოდ** საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, მისი რაოდენობა და ხარისხი. მოქალაქეთა სრული თანასწორფასოვნებისაზმა მხმარების დარგში შესაძლებელი იქნება **მხოლოდ** კომუნიზმის დროს. ბანაფდე კ თანამიმდევრულად და ზუსტად უნდა განხორციელდეს უმკაცრესი კონტროლი შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი.

სკკპ XXVI ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო და რჩება **განაწილების ნორმა.** მასში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის როლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფა განვითარებული სოციალიზმის განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებს მიაკუთვნა. პლენუმმა განაცხადა, რომ „ადამზრდელობითი მუშაობის წარმატება წარმოუდგენელია განაწილების სოციალისტური პრინციპის მკაცრად დაცვისათვის, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სწორი გამოყენებისათვის თანამშიდგრული ბრძოლის გარეშე“.

განაწილებითი ურთიერთობა პირდაპირ და უშუალოდ ეხება ყველას და თითოეულს სასიცოცხლო ინტერესებს. ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე, დიდი თუ პატარა, უფლებამოსილია ელოდეს მატერიალური დოვლათის თავის წილს, რომლის სამართლიანად განაწილებას არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ამასთან სოციალიზმის ეს ძირეული პრინციპი არ უნდა გავიგოთ ვიწროდ, როგორც მხოლოდ განაწილების, ანაზღაურების მარგუნილრებელი წესი, ამ პრინციპის **უპირველესი** მოთხოვნაა **შრომა უნარის მიხედვით,** საზოგადოებრივად სასარგებლო, პატიოსანი შრომა. მაშასადამე, სოციალიზმის მთავარი პრინციპი მოიცავს მკაცრი კონტროლის განხორციელებას არა მარტო შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი, არამედ იმისადმიც, რომ ყოველი შრომისეულრანაინი მოქალაქე პატიოსნად შრომობდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ უბანზე.

მსოფლიოს ცივილიზებული ხალხები ყოველთვის აღამაღლებდნენ და დიდ პატივს მიაგებდნენ შრომას. თვით ქართულმა ფოლკლორმა საუკუნთა მანძილზე გამოატარა და დიდი სოციალური შინაარსი ჩაჰქსოვა საყოველთაოდ ცნობილ ფორმულას — „ვინც არ ჰუშაობს, არც ჭამს“.

შრომის სუფევას ქადაგებს „რუსი ხალხის ბევრი ბრძენები აზრი. ვ. დალის ცნობილი კრებული „რუსი ხალხის ანდაზები“, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხშირად იყენებდა, ცალკე თავად არის გამოყოფილი „შრომა-უსაქმეობა“, სადაც მოცემულია უმძაგი გამონათქვამი და შეგონება მშრომელი კაცის სადიდებლად და საპატივცემულოდ.

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა ამ ღრმაშინაარსიანი სოციალური და ზნეობრივი ღირებულების მქონე გამონათქვამს და წერდა: „ვინც არ მუშაობს, დაე, ნურცა ჭამს“ — ეს გასაგებია ყოველი შრომელისათვის. ამის თანაბბაა ყველა მუშა, ყველა უღარიბესი და საშაოო ლეგხიე კი, ყველა, ვისაც ცხოვრებაში გაჭირვება უნახავს, ვისაც ოღესმე საკუთარი ხელფასით უცხოვრია. რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედი ეთანხმება ამ ჭეშმარიტებას. ეს მარტივი, უმარტივესი და უთვალსაჩინოესი ჭეშმარიტება — სოციალიზმის საფუძველია, მისი ძალის ალმოფფრქვეული წყარო, მისი საბოლოო გამარჯვების მოუსპობელი საწინდარია“. ბელადის ამ დებულებამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა ჩვენს დროში.

განაწილებითი ურთიერთობა ჩვენი ცხოვრების კარდინალური საკითხია, რომელიც განაპირობებს სოციალიზმის ყველა სიკეთეს. ამასთან უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა საზოგადოების პირობებში ნეგატიური მოვლენების დიდი უმრავლესობა გამოწვეულია სოციალიზმის ამ ძირეული პრინციპის დარღვევით. სწორედ შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი კონტროლის შესუსტებამ შეუწყო ხელი ისეთი აზარა და ფარული სოციალური წყლულების არსებობას, როგორიცაა სახელმწიფო სახსრების დატაცება, მოგზეკეულობა, მექრთამეობა, თვალსაჩვენა, წამატებანი, მლეკენელობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და ჩვენი წყობილებისათვის უცხო სხვა მოვლენები.

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო სტატიაში „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე“ მიუთითებს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ შეინიშნება ადამიანთა ერთი ნაწილის მისწრაფება მოიწყონ კეთილდღეობა სხვების ხარჯზე, შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობისადმი კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებზე. „ჩვენს ქვეყანაში არავინ ხდის და ვერც გაბლის საეჭვოს იმას, რომ შრომის მიხედვით ანაზღაურება და დოვლათის განაწილება ყველაზე სამართლიანი საქმეა. და პირქით, თუ ხდება გადახრები მისგან, თუ ფეხმოკიდებულია ყბადაღებული გათანაბრება. ეს კანონზომიერად აღაშფოთებს სინდისს, აღიქმება როგორც უსამართლობა“.

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელიც მიმართა ანგარიშებელი სოციალიზმის სრულყოფისა და პარტიის ideologიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლენინური პარტიის საქმიანობის მთავარი აზრი იყო და არის ხალხის კეთილდღეობისათვის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების უფრო სრული განხორციელებისათვის ზრუნვა, რომ განაწილებისა და მეურნეობრიობის სოციალისტური პრინციპებისაგან ყოველგვარ გადახვევა შეეტანა წარმოქმნას ისეთი მოვლენები, როგორიც არის შრომითი და სოციალური პასიურობა, მუქთახორობა, მარალური ნიპილიზმი, შემოსავლისა და დოვლათის გადანაწილების ფარული ფორმები.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დადასტურებლად ცხადყვეს, რომ მატერიალური დოვლათის განაწილების წესი მთლიანად დამოკიდებულია წარმოებაზე, რომ საზოგადოებას შეუძლია მხოლოდ იმის განაწილება, რაც მან შექმნა. ეს ნიშნავს, რომ განაწილება თვით არის წარმოების წესის, მისი სტრუქტურის უშუალო შედეგი. ამასთან, განაწილებითი ურთიერთობა თავის მხრივ აქტიურ გავლენას ახდენს მატერიალური დოვლათის წარმოებაზე. სამართლიან განაწილებას შეუძლია ხელი შეუწყოს მასების სოციალურ აქტიურობის, წარმოების ეფექტიანობის ზრდას, ხოლო განაწილებაში დაშვებულ დარღვევებს — შეამციროს წარმოება, გამოიწვიოს მისი დისპროპორციები, შეაკავოს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარება. „განაწილება, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი,— არის წარმოების გადიდების მეთოდი, იარაღი, საშუალება“.

კ. მარქსმა მეცნიერულად დასაბუთა, რომ განაწილების წესი მთლიანად დამოკიდებულია წარმოებაზე, რომ იგი საზოგადოებრივი კვლავწარმოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. განაწილება დამაკავშირებელი რგოლია წარმოებასა და მოხმარებას შორის, რომ ყოველი წარმოება განსაზღვრავს განაწილების თავისებურ ფორმებსაც. „მოხმარების საშუალებათა ყოველგვარი განაწილება, — მიუთითებდა კ. მარქსი, — ყოველთვის მხოლოდ შედეგია თვით წარმოების პირობათა განაწილებისა“.

სოციალიზმის პირობებში მუშაკთა ეკონომიკური გათანაბრება ყოვლად დაუშვებელია, რადგან იგი ხელს უშლის. შრომის ნაყოფიერების, წარმოების ეფექტიანობის ზრდას, შრომელი მასების ეკონომიკურ სტიმულირებას და მათს აღზრდას შრომიდან ადამიანი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. დოვლათის თანაბრად განაწილება სიზარმაცისა და პარაზიტიზმის წახალისება იქნებოდა. გათანაბრება, როგორც ლენინი აღინიშნავდა, ეკონომიკური სისულელეა, რადგან იგი მოხმარებას წყვეტს წარმოებისაგან.

